

**ორჯე ვერესტს?
ესე იგი ორჯე
ხარისხს!!!**

სახელი, გვარი, ტელეფონი
სკოლა
მათემატიკის მასწავლებელი

1) მოსწავლემ ერთიანების, ნულებისა და ცხრიანების გამოყენებით შეადგინა ხუთი წილადი რიცხვი: $\frac{1}{100}$; $\frac{1}{10}$; $\frac{99}{100}$; $\frac{99}{1000}$; $\frac{10}{9}$. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული ციფრი გამოიყენა მოსწავლემ წილადი რიცხვების შესადგენად?

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი

2) ბ) რამდენი წილადი რიცხვი შეადგინა მოსწავლემ?

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი

5) გ) შედგენილი წილადი რიცხვებიდან რომელია რიცხვით ღერძზე ნულთან ყველაზე ახლოს?

- 1) $\frac{1}{100}$ 2) $\frac{1}{10}$ 3) $\frac{99}{100}$ 4) $\frac{99}{1000}$ 5) $\frac{10}{9}$

2) სამკუთხედის ყველა გვერდი სხვადასხვა სიგრძისაა. ერთ-ერთი გვერდის სიგრძეა 12 სმ, ხოლო სამკუთხედის პერიმეტრია 30 სმ. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რას უდრის სამკუთხედის პერიმეტრი?

- 1) 42 სმ-ს 2) 30 სმ-ს 3) 28 სმ-ს 4) 18 სმ-ს 5) 12 სმ-ს

2) ბ) რას უდრის სამკუთხედის პერიმეტრის მესამედი?

- 1) 15 სმ-ს 2) 14 სმ-ს 3) 12 სმ-ს 4) 10 სმ-ს 5) 4 სმ-ს

7) გ) ქვემოთ ჩამოთვლილი სიგრძეებიდან რამდენია ისეთი, რომელიც არ შეიძლება იყოს ამ სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდის სიგრძე?

2 სმ; 3 სმ; 5 სმ; 6 სმ; 15 სმ; 16 სმ.

- 1) არც ერთი 2) ერთი 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი

3) მდინარის დინების სიჩქარეა 3 კმ/სთ. კატერის საკუთარი სიჩქარეა 24 კმ/სთ. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რას უდრის მდინარის დინების სიჩქარე?

- 1) 3 კმ/სთ 2) 5 კმ/სთ 3) 21 კმ/სთ 4) 24 კმ/სთ 5) 27 კმ/სთ


5) ბ) რა სიჩქარით იმოძრაებს კატერი დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვისას?

- 1) 3 კმ/სთ 2) 5 კმ/სთ 3) 21 კმ/სთ 4) 24 კმ/სთ 5) 27 კმ/სთ

7) გ) რა მანძილს გაივლის კატერი, თუ იგი 2 საათის განმავლობაში მდინარის დინების მიმართულებით იმოძრაებს?

- 1) 27 კმ-ს 2) 42 კმ-ს 3) 44 კმ-ს 4) 48 კმ-ს 5) 54 კმ-ს

4) ABCD მართკუთხედი დაყოფილია თორმეტი პატარა ტოლ კვადრატად. სანდრომ გააფერადა 3 პატარა კვადრატი (სურათი 1). ვანომ უნდა გააფერადოს გასაფერადებელი (დარჩენილი) კვადრატების რაოდენობის $\frac{2}{3}$ ნაწილი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენ პატარა კვადრატად არის დაყოფილი ABCD მართკუთხედი?

- 1) 3 2) 6 3) 9 4) 12 5) 15



ბ) რამდენი პატარა კვადრატი გააფერადა სანდრომ?

- 1) 1 2) 2 3) 3 4) 6 5) 9



გ) პატარა კვადრატების საერთო რაოდენობის რა ნაწილი გააფერადა სანდრომ?

- 1) $\frac{1}{3}$ 2) $\frac{1}{4}$ 3) $\frac{3}{6}$ 4) $\frac{3}{9}$ 5) $\frac{9}{12}$



დ) რამდენი კვადრატი უნდა გააფერადოს ვანომ?

- 1) 2 2) 3 3) 4 4) 6 5) 8



5) დღე-ღამის რა ნაწილია 4 წუთი?

- 1) $\frac{1}{1440}$ 2) $\frac{1}{720}$ 3) $\frac{1}{360}$ 4) $\frac{1}{180}$ 5) $\frac{1}{36}$



6) ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- ოთხკუთხა პირამიდას 5 წვერო აქვს;
- ხუთკუთხა პირამიდას 6 წახნაგი აქვს;
- ნებისმიერ პირამიდას იმდენი წვერო აქვს რამდენიც წახნაგი;
- სამკუთხა პრიზმას 5 წახნაგი აქვს;
- ხუთკუთხა პრიზმას 15 წიბო აქვს.

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი



7) ქვემოთ მოცემული უკვეცი წილადებიდან რომელია ის წილადი რომლის მრიცხველის 2-ზე გამრავლების შედეგად მიიღება ისევ უკვეცი წილადი?

- 1) $\frac{3}{20}$ 2) $\frac{5}{14}$ 3) $\frac{1}{102}$ 4) $\frac{1}{101}$ 5) $\frac{1}{3000}$



8) თუ წრეწირის რადიუსია 2 სმ, მაშინ ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?


- მოცემულ წრეწირში გავლებული ქორდა შესაძლებელია იყოს 2 სმ;
- მოცემულ წრეწირში გავლებული ქორდა შესაძლებელია იყოს 3 სმ;
- მოცემულ წრეწირში გავლებული ქორდა შესაძლებელია იყოს 4 სმ;
- მოცემულ წრეწირში გავლებული ქორდა შესაძლებელია იყოს 5 სმ.

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) არც ერთი




9) ქარხანაში მუშაობა იწყება დღის 9 საათზე და მთავრდება საღამოს 7 საათზე. ამ ხნის განმავლობაში მუშები ისვენებენ ორჯერ 2-2 საათის განმავლობაში. მუშების მიერ ერთი დღის განმავლობაში ნამუშევარი საათების რაოდენობა ერთი კვირის რა ნაწილს შეადგენს?


- 1) $\frac{6}{7}$ -ს 2) $\frac{1}{21}$ -ს 3) $\frac{1}{28}$ -ს 4) $\frac{3}{35}$ -ს 5) $\frac{1}{4}$ -ს

 10) ლადოს აქვს ორკილოგრამიანი გირები, თამუნას – ერთკილოგრამიანი გირები, ხოლო ლალის კი – ხუთკილოგრამიანი გირები, (თითოეულს აქვს 3 ცალი გირი). ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?


- ლადოს და ლალის თეფშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 11 კილოგრამი ფქვილი აწონონ;
- ლადოს და თამუნას თეფშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 7 კილოგრამი ფქვილი აწონონ;
- ლადოს, თამუნას და ლალის თეფშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 13 კილოგრამი ფქვილი აწონონ;
- თამუნას და ლალის თეფშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 14 კილოგრამი ფქვილი აწონონ.

1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) არც ერთი


 11) ნიკას 18 ცალი ასანთის ღერი ჰქონდა. მან ასანთის ღერები ერთმანეთს მიაწება (სურათი 2). მიწებებული ასანთის ღერებით ნიკამ ორნიშნა რიცხვების შედგენა დაიწყო. ყველაზე მეტი რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული ორნიშნა რიცხვის შედგენა შეუძლია ნიკას? (რიცხვები ერთმანეთს არ უნდა ეხებოდეს)




1) 12 2) 18 3) 24 4) 26 5) 28

 12) ტომარაში არსებული კარტოფილის $\frac{5}{12}$ გადმოყარეს და ორ ყუთში თანაბრად გაანაწილეს. თითოეულ ყუთში 25 კგ აღმოჩნდა. ტომარაში დარჩენილი კარტოფილის რა ნაწილს შეადგენს 40 კგ კარტოფილი?

1) $\frac{40}{60}$ -ს 2) $\frac{1}{12}$ -ს 3) $\frac{4}{12}$ -ს 4) $\frac{4}{7}$ -ს 5) $\frac{5}{6}$ -ს

 13) მწკრივში დაწერეს რიცხვები: 1; 2; 3; 4; და 5 (არა ამ თანმიმდევრობით). თავდაპირველად დაწერეს ლუწი რიცხვები, შემდეგ ლუწი რიცხვების მარჯვნივ დაწერეს კენტი რიცხვები. ცნობილია, რომ თუ ადგილებს შევუცვლით ორიანს და ხუთიანს, კენტი და ლუწი რიცხვები დალაგებული იქნება მონაცვლეობით, ხოლო თუ ადგილებს შევუცვლით სამიანს და ერთიანს, სამიანი აღმოჩნდება მარჯვნიდან პირველი. სად დგას სამიანი?

1) მარჯვნიდან პირველი 2) მარჯვნიდან მეორე 3) მარჯვნიდან მესამე
4) მარცხნიდან პირველი 5) მარცხნიდან მეორე

 14) გვაქვს სხვადასხვა წონის ოთხი მონეტა: წითელი, ყვითელი, ლურჯი და მწვანე. ასევე გვაქვს თეფშებიანი სასწორი. ცნობილია, რომ წითელი მონეტა უფრო მძიმეა, ვიდრე ყვითელი მონეტა, ხოლო ლურჯი მონეტა უფრო მძიმეა, ვიდრე მწვანე მონეტა. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- იმისათვის, რომ შევძლოთ ოთხივე მონეტა დავაღვათ წონის ზრდის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში საკმარისი იქნება თეფშებიანი სასწორის გამოყენებით შევადართო ჯერ წითელი და ლურჯი მონეტის წონები, შემდეგ – ყვითელი და მწვანე მონეტის წონები;
- იმისათვის, რომ შევძლოთ ოთხივე მონეტა დავაღვათ წონის ზრდის მიხედვით, შესაძლებელია საკმარისი იყოს თეფშებიანი სასწორის გამოყენებით შევადართო ყვითელი და ლურჯი მონეტის წონები;
- იმისათვის, რომ შევძლოთ ოთხივე მონეტა დავაღვათ წონის ზრდის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში საკმარისი იქნება თეფშებიანი სასწორის გამოყენებით შევადართო ჯერ ყვითელი და ლურჯი მონეტის წონები, შემდეგ – წითელი და ლურჯი მონეტის წონები.

1) 1 2) 2 3) 3 4) არც ერთი 5) ამის გაგება შეუძლებელია